მერიის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(178) 2018 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა

ცესკოს მიერ დათვლილი უბნების თითქმის 100%-ის მიხედვით (*29 ოქტომბრის მონაცემებით*), სალომე ზურაბიშვილმა - 38,63%, გრიგოლ ვაშაძემ - 37,74 % მიიღო.

ცესკომ 3 705 საარჩევნო უბნიდან 3692 (+ 11 სპეცუბანი) დათვალა. ბოლო შედეგების მიხედვით, "ქართული ოცნების" მიერ მხარდაჭერილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 38,63% (615 403 ხმა), ხოლო "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ - 37,74 % (601 175 ხმა) მიიღო.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – სალომე ზურაბიშვილმა მიიღო 7174 ხმა (40.27%), ხოლო გიორგი ვაშაძემ – 6530 ხმა (36.66%).

„უდაბნოს სათემო ფესტივალი"

20 ოქტომბერს სოფელ უდაბნოში საერთაშორისო ღონისძიება - „უდაბნოს სათემო ფესტივალი" გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდების განვითარების და ხელშეწყობის სააგენტო კომპასი" იყო. ფესტივალი ევროკავშირის პროგრამა „ერასმუს +"-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის (სახელწოდებით: „თემის მშენებლობა ახალგაზრდების ჩართულობით") დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენდა. მისი მთავარი მიზანი სოფელ უდაბნოს კულტურული მრავალფეროვნების გაცნობა და თემის განვითარების ხელშეწყობა იყო. ფესტივალზე მართლაც მრავალფეროვანი პროგრამა იყო წარმოდგენილი: საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე ადგილობრივმა და უცხოურმა შემოქმედებითმა ანსამბლებმა და შემსრულებლებმა ცეკვები, სიმღერები, მუსიკალური ნომრები და ინსცენირებები წარმოადგინეს. ბავშვები,მოზარდები და ახალგაზრდები სხვადასხვა სპორტული ხასიათის აქტივობაში (ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის თამაშები: ჭადრაკი და დომინო, ძიუდო, ცხენით ჯირითი, ფრიზბი, აგრეთვე ქართული, დანიური და სომხური ეროვნული თამაშებით შეეჯიბრნენ ერთმანეთს. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა სოციალური საწარმოების წარმომადგენლებმა („ნუკრიანის სახელოსნოები", „თემი", „სქაითიმი / SKYE Team", „ეროვნული ფოტოატელიე", „ბარბალე", „არაბულიარტ" და სხვა) საკუთარი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გამართეს. ცალკე საფესტივალო სივრცე იყო გამოყოფილი ეროვნული ღვინოებისა და ტრადიციული კერძების დეგუსტაციისთვისაც, რამაც სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფესტივალმა მადალორგანიზებულად ჩაიარა, რაც ორგანიზატორებისა და ღონისძიების პარტნიორების მიერ გაწეული დიდი შრომის დამსახურებაა. სამოქალაქო სექტორის ქართველ, სომეხ და დანიელ წარმომადგენლებთან ერთად, ფესტივალის აქტიური პარტნიორი იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაც. კერძოდ კი, მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ნინო ქურხულმა და მერის წარმომადგენელმა სოფელ უდაბნოში გიორგი ჟორჟოლიანმა ბოლო თვეების განმავლობაში მაქსიმალური დახმარება გაუწიეს ამ საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზატორებს. ფესტივალს ესწრებოდნენ: მერის მოადგილეები ალექსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი, აგრეთვე მერიის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები.

სოფელ უდაბნოს მოსახლეობამ მადლიერება გამოხატეს როგორც ფესტივალის ორგანიზატორებისა და პარტნიორების, ისე სტუმრების მიმართ. მათი თქმით, ისინი აფასებენ იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა და მესამე სექტორი ურთიერთთანამშრომლობით ყველაფერს აკეთებენ უდაბნოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ვეტერანთა დღე საგარეჯოში

17 ოქტომბერს *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა* ბიორბი ერბოიონაშვილმა, *მერის მოადგილემ* პაატა ასრათაშვილმა, *ქალაქ საგარეჯოში მერის წარმომადგენელმა* იოსებ მარხვაშვილმა, *მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელმა* როსტომ ბაძრაძემ, *ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა (ვეტერანთა საქმეების კურატორი მერიაში)* ძაბული მათიაშვილმა და მერიის სხვა თანამშრომლებმა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღე აღნიშნეს. მათ, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ სკოლის მოსწავლეებთან ერთად ყვავილებით შეამკეს ქალაქ საგარეჯოს გმირთა მემორიალი.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება. ამ თარიღის შემოღების ინიციატორი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურია. 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ", რაც ვეტერანის დღის დაწესების საფუძველი გახდა.

შპს „საგარეჯო“

საქმით დამკვიდრებული სახელი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტში დაფუძნდა შპს „საგარეჯო“, მაგრამ თავისი ხელმძღვანელობისა და მუშაკების უნარიანი მუშაობით უკვე მოიპოვა სათანადო ავტორიტეტი და აღიარება. სად, ჩვენი რაიონის რომელ კუთხეში არ შეხვდებოდით და ახლაც ასეა, სხვადასხვა სამუშაოების შესრულებაზე, – სასმელი წყლების ქსელების თუ სარწყავი წყლის არხების გაჭრაზე, წყლის სათავენაგებობების მოწესრიგებაზე, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციაზე, სასოფლო და საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკებაზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე და სხვა მსგავს ღონისძიებებზე დასაქმებულ ამ საზოგადოების ტექნიკასა და მუშაკებს, რომელთა სახელზედაც ათეულობით კეთილსინდისიერად შესრულებული ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეო საქმე აღინუსხება.

კერძოდ, თუ რა სახის სამუშაოები აქვთ შესრულებული მუნიციპალიტეტში 2018 წლის დასაწყისიდან განვლილ 9 თვეში, გვესაუბრება შპს-ს დირექტორი თამაზ კუჭუაშვილი.

– წლის დასაწყისი, იანვრის თვე გომბორში სასმელი წყლის ტრანშეის გაჭრით დავიწყეთ, ***– აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში,*** – ამის შემდეგ კი კაკაბეთში გადავინაცვლეთ, სადაც სასმელი წყლის სათავე გავარემონტეთ.

თებერვლიდან ჩვენმა სამუშაოთა მოცულობამ საგრძნობლად მოიმატა: უდაბნოში გავწმინდეთ სტიქიური ნაგავსაყრელი, თოხლიაურში გავარემონტეთ წყლის სათავე, მანვში გაიჭრა სასმელი წყლის ტრანშეა.იგივე უდაბნოში ჩავატარეთ გზების მოხრეშვა-მოშანდაკება, გიორგიწმინდაში შევაკეთეთ გზები. დიდ ჩაილურში – წლების მანძილზე პრობლემა იყო სასაფლაოსა და ფეხბურთის სტადიონის ანტისანიტარია, რაც ჩვენს მიერ გაიწმინდა. ანალოგიური სამუშაოები ჩავატარეთ ლამბალოში ნაგავსაყრელის გასასუფთავებლად. ამავე თვეში მოგვიწია საგარეჯოში „წიფლის ხევის“ ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება და სანიაღვრე არხების გაწმენდა. თოხლიაურში ექსკავატორით აღვადგინეთ სასმელი წყლის სათავე, მოვახდინეთ წყლის სათავის გზების გადაჭრა.

– ყველა თქვენს მიერ შესრულებული სამუშაო მართლაც ხალხისთვის საკეთილდღეო და ფასეულია. მათ შორის ალბათ უნდა გამოვყოთ ე.წ. „სანახშირეების“ ლიკვიდაციაში თქვენი სამსახურის მონაწილეობა, რომლებიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებდნენ ჩვენს გარემომცველ ბუნებასა და ადამიანების ჯანმრთელობას.

– აღნიშნული სამუშაოების შესრულება მარტში მოგვიხდა,ლიკვიდაცია ჩაუტარდა საგარეჯოში არსებულ ნახშირის კუსტარულ საწვავებს, რომლებიც მართლაც დიდ ზიანს აყენებენ გარემომცველ ბუნებას და ადამიანებს. ამავე თვეში საგარეჯოში გავწმინდეთ სანიაღვრე არხები, მოვხრეშეთ და მოვაშანდაკეთ ქეთევან წამებულის ქუჩა და სასაფლაოების გზები, საგარეჯოში №13 საცხოვრებელ კორპუსთან გავჭერით საკანალიზაციო არხი, თოხლიაურში გავწმინდეთ სასაფლაოს ტერიტორია.

გაზაფხულის პირველი თვე ახალი წლის არ იყოს, გომბორში წარმოებული სამუშაოებით დავიწყეთ, სადაც გავჭერით სასმელი წყლის მაგისტრალი. კოჭბაანში გავიყვანეთ სასმელი წყალი, საგარეჯოში ჩავატარეთ თამარ მეფის ქუჩის მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები, მოვაშანდაკეთ კახეთის გზატკეცილის პირველი შესახვევის გზა, ჯაფარიძის ქუჩიდან გავიტანეთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები. გიორგიწმინდაში ალინჯის უბნის მცხოვრებლებისათვის გავიყვანეთ სასმელი წყალი, უჯარმაში, ჩავატარეთ გზების მოხრეშვა-მოშანდაკება. ყანდაურაში სასმელი წყლისათვის გავჭერით არხი და ქსელს ჩავუტარეთ რემონტი.

– თქვენს მიერ შესრულებულ მრავალ სამუშაოთაგან, ალბათ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგარეჯოში კოდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ჩატარება ამ გზას დიდი ხანია სჭირდებოდა და დიდ დისკომფორტს უქმნიდა აქ დასასვენებლად წამსვლელ ადამიანებს...

კოდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ივლისში შევასრულეთ. მთლიანად შეკეთდა მისი 14 კილომეტრიანი მონაკვეთი. ***მაისში*** საგარეჯოში რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩებზე ჩატარდა მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები. გიორგიწმინდის თემში გაიწმინდა სოფელ მარიამჯვარის ნაგავსაყრელი, ბადიაურში გაიწმინდა სანიაღვრე არხი, გიორგიწმინდაში დასუფთავდა წყლის სათავე ნაგებობა და მოხდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება. ხაშმში ჩავატარეთ სასმელი წყლის ქსელის რემონტი.

რაც შეეხება მომდევნო პერიოდის სამუშაოებს, ***ივნისში*** ჩავატარეთ:

დუზაბრამაში – სარწყავი არხის გაწმენდა; **თოხლიაურში** – შიდა გზების რემონტი; **ნინოწმინდაში** – გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **პატარძეულში** – „გმირთა სავანეზე“ წყლის მიყვანა; **გიორგიწმინდა** – „ალინჯის“ ნაგავსაყრელის დასუფთავება; **საგარეჯოში** – კახეთის ქუჩის მოშანდაკება; **იორმუღანლოში** – – გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხის გაწმენდა; **საგარეჯოში** – ლეონიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის გაწმენდა; **ბადიაურში** – ნაგავსაყრელის დასუფთავება; **კოჭბანი-ბორანა** – გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **დიდი ჩაილური** – სასმელი წყლის აღდგენა; **დუზაბრამა** – გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების გაწმენდა; **ბადიაური** – გზების გაწმენდა; **ნინოწმინდა** – სასმელი წყლის მაგისტრალის რემონტი; **საგარეჯო**, ჯაფარიძის ქუჩა – სანიაღვრე არხის გაწმენდა; **გიორგიწმინდა** – სატვირთო მანქანის მომსახურება; **ხაშმი** – სასმელი წყლის რემონტი; **გიორგიწმინდა** – ხევის ქვა-ღორღისგან გაწმენდა; **წყაროსთავი** – გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **საგარეჯო**, კახეთის გზატკეცილი – სანიაღვრე არხის გაწმენდა; **პატარა ჩაილური** – გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **საგარეჯო**, თამარ მეფის ქუჩა – მოხრეშვა-მოშანდაკება; **საგარეჯო**,ჩოლოყაშვილის ქუჩა – საკანალიზაციო არხის მოწყობა; **ბადიაური** – გზების მოშანდაკება.



ივლისში

საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი – საყოფაცხოვრებო ნარჩენების დასუფთავება; **იორმუღანლო** – სარწყავი არხის გაკეთება; **წყაროსთავი** – სასმელი წყლის არხის გაჭრა; **მანავი** – გზების რემონტი; **საგარეჯო** – კაჭრეთიდან ასფალტის ნაფხვენის ამოტანა; **ლამბალო** – გზების მოშანდაკება; **პატარძეული** – სასმელი წყლის რემონტი; **საგარეჯო** – დავით აღმაშენებლის ქუჩის საერთო საცხოვრებელი ბინის გზების მოხრეშვა; **უჯარმა** – სასმელი წყლის რემონტი; **იორმუღანლო** – მოხრეშვა-მოშანდაკება; **დუზაბრამა** – მოხრეშვა-მოშანდაკება; **დუზაბრამა** – სარწყავი არხების გაწმენდა; **საგარეჯო** – კახეთის გზატკეცილზე სანიაღვრე არხის გაწმენდა; **საგარეჯო**, თამარ მეფის ქუჩა – სასმელი წყლის ქსელის რემონტი; **საგარეჯო** – ერეკლე II ქუჩის გზის რემონტი; **გიორგიწმინდა-მარიამჯვარი** – სასმელი წყლის არხის გაჭრა; **მანავი** – სასმელი იწყლის სათავესთან გზების შეკეთება;

აგვისტო

კაზლარი – სასმელი წყლის რემონტი; **პატარძეული** – გზების რემონტი, მოხრეშვა-მოშანდაკება; **დიდი ჩაილური** – სავარგულების კიუვეტის გაკეთება; **პატარა ჩაილური** – სარწყავი არხების გაწმენდა; **გომბორი** – სასმელი წყლის რემონტი; **საგარეჯო**, „კოდა“ – გზების რემონტი; **უჯარმა** – გზების რემონტი; **თოხლიაური** – ბანაკის გზის რემონტი; **კაზლარი**, **თულარი** – გზების მოშანდაკება; **ხაშმი** – გზის რემონტი; **ხაშმი** – ლაფიანხევზე სარემონტო სამუშაოები; **იორმუღანლო** – სასმელი წყლის რემონტი; **ლამბალო** – სარწყავი არხის გაყვანა; **თოხლიაური** – სანიაღვრე არხის გაწმენდა; **საგარეჯო** – კოდაზე ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდა; **ნინოწმინდა** – სასმელი წყლის რემონტი; მანავი – სასმელი წყლის მაგისტრალის შეცვლა; **პატარძეული** – შიდა გზების მოშანდაკება; **იორმუღანლო**, **დუზაბრამა**, **თულარი** – დატბორილი არხების გაწმენდა; **გიორგიწმინდა** – გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **საგარეჯო** – შიოს ეკლესიის გზის რემონტი; **საგარეჯო** – წიფლის ხევის სანაპიროს მოშანდაკება; **საგარეჯო**, კახეთის ქუჩა – გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; **საგარეჯო** – წვიმისაგან დაზიანებული სასაფლაოების გზების რემონტი; **საგარეჯო** – ჯაფარიძის ქუჩის გაწმენდა; **წყაროსთავი** – ვენახების გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **ლამბალო** – საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; **გიორგიწმინდა** – ანთოკის გზის მოშანდაკება; **ლამბალო** – საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; **გიორგიწმინდა**-ანთოკის გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; **საგარეჯო**, წვიმისაგან დაზიანებული „წიფლის ხევის“ სანაპიროების მოშანდაკება; **საგარეჯო** – თვალთხევზე გადასასვლელი გზის რემონტი.

სექტემბერი

უდაბნო – ტერასების მოწყობა; **გიორგიწმინდა** – გზების მოშანდაკება; **წყაროსთავი** – შიდა საუბნო გზების მოშანდაკება; **უდაბნო** – გზების მოშანდაკება; **მზისგული** – სავარგულების გზის რემონტი; **მანავი** – გზების მოშანდაკება; **გიორგიწმინდა** – გზების მოხრეშვა; **ხაშმი** – გზების მოხრეშვა; **კოჭბანი** – წყლის სათავის მოწყობა; **წყაროსთავი** – წყლის გაყვანა; **დიდი ჩაილური** – გზების მოშანდაკება; **საგარეჯო** – „ტალახას“ გზის მოშანდაკება; **ნინოწმინდა** – გზების მოშანდაკება; **ბადიაური** – საყოფაცხოვრებიო ნარჩენების გატანა; **წყაროსთავი** – ვენახების გზის მოშანდაკება; **ნინოწმინდა** – ჭაბურღილის გზის რემონტი; **ვერხვიანი** – გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; **კაკაბეთი** – წყლის სათავის გაწმენდა; **გიორგიწმინდა** – წვიმისაგან დაზიანებული გზების მოშანდაკება; **გიორგიწმინდა** – ეკლესიისაკენ მიმავალი გზის მოშანდაკება.

შპს „საგარეჯოს“ მუშაკები ახლაც აქტიურად ვართ ჩაბმულნი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მსგავსი სახის პრობლემური საკითხების მოგვარების საქმეში და მომავალშიც არ დავიშურებთ ჩვენს ძალღონეს მათ გადასაჭრელად.

გ. დაგახიშვილი

სოფლის მეურნეობა

რთველი-2018

მუნიციპალიტეტის მევენახეობის სარეკორდო შედეგები

მუნიციპალიტეტში „რთველი-2018“-მა კარი გამოიხურა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის საბოლოო მონაცემებით წელს ჩვენს რაიონში წარმოებულია 36100 ტონა ყურძენი. აქედან ყურძნის მიმღებ ქარხნებში ჩაბარებულია 27527 ტონა, 8633 ტონა კი სახლებში დაიწურა და გაუკეთდა რეალიზაცია.

მოწეული ყურძნის მოსავლიდან ყველაზე მეტი მიღებულია „რქაწითელი“ – 22435 ტონა, საიდანაც ქარხნებში ჩაბარებულია 15438 ტონა, პირადი მოხმარებისათვის კი გამოყენებულია 6997 ტონა.

„საფერავი“ მოწეულია 9800 ტონა, ჩაბარებულია 8983 ტონა, სახლებში დაიწურა და რეალიზაცია გაუკეთდა 817 ტონას.

„კახური მწვანე“ მიღებულია 1775 ტონა, ყურძნის მიმღებ ქარხნებს ჩაბარდა 1301 ტონა, მოსახლეობამ დაწურა და რეალიზაცია გაუკეთა 474 ტონას.

სხვადასხვა ჯიშებიდან მიღებულია 2150 ტონა ყურძენი, საიდანაც ჩაბარებულია 1805 ტონა, 345 ტონას მოსახლეობის მიერ გაუკეთდა რეალიზაცია.

მინდვრის მშრომელთა ერთგული დამხმარეები

– შპს „მექანიზატორი“



შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს ბრიგადის მექანიზატორების წარმატებული საქმიანობის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა. აქ ტრადიციადაა ქცეული – მზის ამოსვლას ისინი ბრიგადის საწარმოო ეზოში ხვდებიან. სამუშაოზე გასვლამდე ტექნიკას „ხელს შეავლებენ“, მიიღებენ საწვავს, დავალებებს და 8 საათისათვის უკვე სამუშაოზე გადიან. ბრიგადაში უმეტესობა ახალგაზრდული კადრებია, მოხერხებული, მშრომელი, დაუზარელი...

– არ არსებობს რომელიმე მათგანს რაიმე დავალება მისცე და შეუსრულებელი დარჩეთ, – სიამაყით მეუბნება ბრიგადაში სტუმრად მისულს საზოგადოების ***მენეჯერი ბია მარხვაშვილი,*** – სამუშაო და საქმე კი მართლაც გამოულეველი აქვთ მექანიზატორებს – ხვნა, თესვა, ფარცხვა, კულტივაცია, მოსავლის აღება-დაბინავება, რაშიც ისინი ერთგულად უდგანან მხარში და მუდამ ეხმარებიან მუნიციპალიტეტის მიწათმოქმედებს.

– ბრიგადაში თითქმის ყველა სახის ტექნიკა გვაქვს – ამერიკული, გერმანული და იტალიური. ექვსი მაღალმწარმოებლური ტრაქტორი და 3 კომბაინი, თავისი ყველანაირი მისაბმელებით, რომლებითაც ყველა იმ სახის აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება შეიძლება, რაც ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურას ესაჭიროება, – ***აგრძელებს ბრიგადის მენეჯერი,*** არ მინდა თავის ქებაში ჩამომერთვას, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ რაიონის მიწათმოქმედებაში შესრულებული სამუშაოების უმეტესობა ჩვენი ბრიგადის წილად მოდის.

– წელს, წლის დასაწყისიდან რა სამუშაოები გაქვთ შესრულებული, თუ გაქვთ ამის სტატისტიკა? – ვეკითხები.

– ჩვენი ბუღალტერია თბილისშია და ზუსტ ციფრებს ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ, რომ ზემოთჩამოთვლილი სამუშაოებიდან ყველა სახის სამუშაოებში ვმონაწილეობდით და ახლაც ვასრულებთ. საგაზაფხულო და საშემოდგომო ხვნა-თესვა, კულტივაცია, მრავალწლიანი ნარგავების, ვაზისა და ხეხილის ბაღების გასაშენებლად ნიადაგის „დაპლანტაჟება“, გადახვნა, თავთავიანების მოსავლის აღება და კიდევ ვინ მოთვლის. ალბათ შეგინიშნავთ, ივრის მარჯვენა მაგისტრალური არხთან მდებარე უდაბნოს გზის გასწვრივ გაშენებული ნუშის ბაღები, რომლის ასეულობით ჰექტარი მიწა ჩვენი მექანიზატორების მიერ მოიხნა და ახლაც მუშავდება. ალბათ იცით, რომ ადრე აქ საძოვრები იყო და ამის გამო საქონლის ფეხისაგან მიწა გაძეკილი და გაკლდეებულია, ისე, რომ ტრაქტორებს უჭირთ ხვნა და ხშირად უფუჭდებათ ესა თუ ის ნაწილი.. ამას, რა თქმა უნდა, სათანადო რემონტი, შეკეთება სჭირდება, რასაც ხშირად მინდორში, ადგილზევე ვახდენთ, რომ არ მოვცდეთ და დროზე ჩავაბაროთ სამუშაო პატრონებს. ხან ხდება ისეც, რომ როცა სეზონია და სამუშაოები ჭირს, მინდორში დათენებიათ ჩვენს ბიჭებს და დასვენება არ ჰქონიათ... ალბათ ამიტომაც არის, რომ ეს 10 წელი, რაც მე ამ ბრიგადას ვხელმძღვანელობ, მადლობის მეტი არავისგან არავითარი საყვედური არ მიმიღია და ზემდგომებისგან ბევრი შექებაც დაგვიმსახურებია.

– ამჟამად რა სამუშაოებს ასრულებენ თქვენი მექანიზატორები?

– სამუშაოებს რა გამოლევს მინდორში?! როგორც მოგეხსენებათ, მიდის საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანია, ასაღები და დასაბინავებელია სიმინდის მოსავალი, რაშიც აქტიურად ვართ ჩართული ჩვენი ბრიგადის მექანიზატორები.

– ნათქვამია, „მჯობნის მჯობი არ დაილევაო“, მაინც ვის გამოჰყოფდით თქვენი მექანიზატორებიდან?

– ბრიგადაში ყველა თავისი საქმის მცოდნე, პატიოსანი და გულისხმიერი მექანიზატორია, ამიტომ არ მინდა ვინმეს გული დავწყვიტო და ყველას დაგისახელებთ . ესენი არიან: შალვა ტიგინაშვილი, გურამ დარისპანაშვილი, მამუკა ტოპეშაშვილი, ბესიკ მარხვაშვილი, ვახო ხითარიშვილი, გიორგი დარისპანაშვილი, თედო სულიკაშვილი, გაიოზ დარისპანაშვილი, ვანო მარგებაძე, რომლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა სახის ტექნიკაზე მუშაობა. აქვე მინდა არ გამომრჩნენ ჩვენი დარაჯები გელა დალბაშვილი და იოსებ ქვრივიშვილი, რომლებიც თავიანთი მოვალეობის შესრულების გარდა, მუდამ გვერდში უდგანან და ეხმარებიან მექანიზატორებს ტექნიკის მოვლა-შენახვაში.

– ტექნიკა ახსენეთ და რა მდგომარეობაშია სადღეისოდ, საუბარში თქვით, რომ ხშირად გამოდის მწყობრიდან და ხანდახან მინდორში გვიწევს მისი შეკეთებაო?

– ტექნიკა უკვე მოგვიძველდა და აქედან გამომდინარე, უფრო ხშირად დასჭირდება შეკეთება, მაგრამ ჩვენ ამ პირობებშიც ვაგრძელებთ მუშაობას და მომავალშიც ერთგულად დავუდგებით გვერდში ჩვენს მინდვრის მშრომელებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრასა და ხარისხიანად შესრულების საქმეში.

საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროვადები მიიწურა

როგორია შედეგები?

საგარეჯოს *მუნიციპალიტეტისათვის საშემოდგომო ხვნა-თესვის ოპტიმალური აგროვადები სექტემბრის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის გასულამდეა დადგენილი. აღნიშნული ვადის შემდეგ შესრულებული ეს სამუშაოები ეჭვის ქვეშ აყენებს თავთავიანების უხვი მოსავლის მიღების საქმეს, თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როცა ბუნებრივი პირობების ხელშეწყობით მოგვიანებითი ნათესებიდანაც მიულიათ კარგი მოსავალი. მაგრამ ასეთი ერთეული შემთხვევებია და „გამართლების“ იმედზე ყოფნა არაფერ სასიკეთოს არ მოუტანს ფერმერებს.*

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენს მუნიციპალიტეტში აღნიშნული სამუშაოები და როგორ იცავენ ამ აგროვადებს გარეჯელი მხვნელ-მთესველები, გვესაუბრება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს *საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი* **ბივი ათაბეგაშვილი:**

– დადგენილი აგროვადების მიხედვით, – ***გვითხრა მან,*** – აიღება თუ არა წინამორბედი კულტურები, უნდა დაიწყოს საშემოდგომო თავთავიანების თესვისათვის ნიადაგის მომზადება, მიწა უნდა მოიხნას და გაფხვიერდეს აგროწესების სრული დაცვით, წინასწარ განაყოფიერდეს სათანადო სასუქებით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიბარდეს თესლი მიწას., რომ მინდვრის მშრომელს შრომა სათანადოდ დაუფასდეს და სასურველი შედეგი მიიღოს. რა თქმა უნდა, აქ გასათვალისწინებელია ხარისხიანი თესლის საკითხიც, რადგან დაბალი ხარისხის სათესლე მასალა იმ შედეგს ვერ იძლევა, რასაც პირველად ნახსენები თესლი. სამწუხაროდ, ჩვენი მცირე ფერმერების უმეტესი ნაწილი არ, ან ვერ იცავს აღნიშნულ წესებს და ამიტომაც არის, რომ მუდამ დაბალ მოსავალს იღებენ. მაშინ, როცა სათანადო მოვლა-პატრონობის პირობებში შესაძლებელია 5-6 ტონა საჰექტარო მოსავლიანობის მიღწევა.

– ამას, რა თქმა უნდა, ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური პირობა განაპირობებს, რაც ერთბაშად და ხელის ერთი „მოსმით“ ვერ გამოსწორდება. თავად საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანია რა ეტაპზეა. აგროვადები თითქმის უკვე მიიწურა, როგორია სადღეისო შედეგები?

– დღევანდელი, 16 ოქტომბრის მდგომარეობით, მთელ მუნიციპალიტეტში საშემოდგომო თავთავიანების მოსავლისათვის მოხნული და დამუშავებულია 5600 ჰექტარი მიწა, საიდანაც ეს კულტურები უკვე დათესილია 3000 ჰექტარზე. აქედან, ყველაზე მეტ ფართობზე – 2150 ჰექტარზე დათესილია საშემოდგომო ხორბალი, 800 ჰა-ზე საშემოდგომო ქერი და 50 ჰა-ზე მრავალწლიანი კულტურები. როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად ჩვენთან ხვნა-თესვისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია და თუ ამინდებმა არ დააგვიანა, ჩვენი მხვნელ-მთესველები აგროვადებში უნდა ჩაეტიონ. ეს საქმე ამის შემდეგ უფრო დაჩქარდება, რადგან რთვლის დამთავრების შემდეგ ხელმოკლე მინდვრის მშრომელებს მეტი ფინანსური სახსრები გაუჩნდებათ ამ სამუშაოების საწარმოებლად.

– თუ არის მუნიციპალიტეტში საკმარისი ტექნიკა, რომ ეს სამუშაოები დროულად და ხარისხიანად შესრულდეს და თქვენი პროგნოზით, რა ფართობზე ჩაეყრება საფუძველი ამ შემოდგომას მომავალი წლის მოსავლისათვის საშემოდგომო თავთავიან კულტურებს?

– მუნიციპალიტეტში ხვნა-თესვის კამპანიას შპს „მექანიზატორის“ ადგილობრივი ბრიგადები აწარმოებენ, რომელთაც გააჩნიათ მაღალმწარმოებლური ტექნიკა. ამავე სამუშაოებს ასრულებენ ადგილებზე ტრაქტორების კერძო მფლობელები. ისე, რომ ტექნიკის მხრივ პრობლემა ნამდვილად არ არის. რაც შეეხება ნათესების საერთო რაოდენობას, შარშან ეს კულტურები დათესილი იყო 10 ათას ჰექტარზე და ამ შემოდგომაზეც ამ ციფრებზე გავალთ.

– საუბრის დასაწყისში თქვენ თავთავიანების დაბალი მოსავალი ახსენეთ. როგორი იყო მუნიციპალიტეტში წელს მათი მოსავალი, ალბათ გეცოდინებათ, რომელ ფერმერს გაუმართლა, რომელმა მათგანმა მიიღო კარგი მოსავალი?

– მთლიანად წელს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ხორბლის მოსავალი მიღებულია 20250 ტონა, საშემოდგომო ქერი – 4600 ტონა, ანუ ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 2,5, ხოლო ქერისამ – 2,4 ტონა. რაც შეეხება საუკეთესო მოსავლის საქმეს, აქ „ლიდერობს“ იორმუდანლოს ზონაში მოქმედი ირანელი ბიზნესმენი, რომელსაც შარშან 3000 ჰექტარზე ჰქონდა დათესილი საშემოდგომო თავთავიანები და მათი ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, მარტო ახლა კი არა, მუდამ აღწევს მაღალ შედეგებს. ეს კი კიდევ ერთი დასტურია, რომ კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში ჩვენთანაც შესაძლოა მაღალი მოსავლის მიღება.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის

„შემოდგომის დღეები-2018“

2018 წლის მარტიდან სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა) აზერბაიჯანში მოქმედ პარტნიორ ოგანიზაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „ახალგაზრდა მეწარმეთა სინერგია – ქსელი საქართველოსა და აზერბაიჯანის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისათვის“. პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის აზერბაიჯანი-საქართველოს ფარგლებში და მისი მიზანია გააუმჯობესოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შექმნას ხელსაყრელი გარემო ეკონომიკური ზრდისა და თემთა შორის თანამშრომლობისათვის. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე – საგარეჯოს, გარდაბნის, აღსტაფისა და ყაზახის მუნიციპალიტეტების სოციალური და კულტურული დაახლოების ხელშეწყობა.

ამ ერთი თვის წინ საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში აზერბაიჯანის აღნიშნული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა მოაწერა.

ამ დღეებში კი (11-13 ოქტომბერი) სიდას ორგანიზებითა და დაფინანსებით ჩატარდა ამ ურთიერთობის ხელშემწყობი ღონისძიება „შემოდგომის დღეები-2018“, რომელშიც მიწვეულნი იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები და ახალგაზრდა მეწარმეები.

„შემოდგომის დღეები-2018“ მიზნად ისახავდა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ქსელის შექმნასა და გაძლიერებას მოსაზღვრე რეგიონების ეკონომიური განახლების დაგეგმვისა და ადვოკატირების გზით. ახალგაზრდა მეწარმეების ჩართვა ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური თანამშრომლობისა და შესაძლებლობების გაფართოების ღონისძიებებში, ადგილობრივი ბიზნესის განვითარება კულტურათაშორისი ტოლერანტობის, გენდერული თანასწორობის და გარემოს დაცვის ღირსებების პოპულარიზაციის მიზნით.

პროექტის ფარგლებში კაჭრეთის „აბმბასადორში“ ღონისძიების მონაწილეთ ჩაუტარდათ ორდღიანი ინტერაქტიული ვორქშოფი გენდერის საკითხებზე – გენდერული როლები და სტერეოტიპები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა და ადგილობრივ განვითარებაში მათი როლის გაძლიერების მექანიზმების შესახებ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

საგარეჯოში მოეწყო სპორტული ღონისძიება პროექტში აზერბაიჯანის აღსტაფის, გაზახის, საქართველოს საგარეჯოსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდების მონაწილეობით; მოინახულეს კაჭრეთის პროფესიული განვითარების ცენტრი, გაიცნეს მისი საქმიანობა და აქ არსებული ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, ფუტკრის სახლი. ღონისძიების ფარგლებში მათ ასევე მოინახულეს სიღნაღი, ბადიაურის კომპლექსი, დაესწრნენ ყურძნის კრეფას, იყვნენ სართიჭალის ტკბილეულის საწარმოში.

„სიდას“ მიერ ორგანიზებულ „შემოდგომის დღეები-2018“-ში მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობის, ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი თამარ ურდულაშვილი, ახალგაზრდა მეწარმეები უდაბნოდან და საგარეჯოდან.

ბივი დაბახიშვილი

ჩვენ და გარემო

რა უნდა გაკეთდეს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად?

პროგლემა, რომელიც თითოეული ჩვენგანის ჩარევას საჭიროებს...

ადამიანის გარემომცველი ბუნების დაბინძურება უკვე დიდი ხანია აწუხებს კაცობრიობას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ადამიანისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყნები მუშაობენ. ხორციელდება სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი პროექტები, რაც გარკვეულწილად ამცირებს ადამიანების გარემომცველი ბუნების ამ სახის ხელყოფის რისკებს, დაბინძურების პროცესი მაინც ბევრად უფრო წინ უსწრებს მის საწინააღმდეგოდ გატარებულ ღონისძიებებს. ბუნების დაბინძურების მრავალი წყაროდან ერთ-ერთია საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლის თავიდან ასაცილებლად მნიშვნეოვანი ღონისძიებები ტარდება ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში – განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე – შეიქმნა დასუფთავების სამსახური, რომელიც აკონტროლებს რაიონის მთლიან ტერიტორიას, ქ. საგარეჯოსა და სოფლებში დაიდგა ნაგვის შემკრები ყუთები, საიდანაც სპეციალური ტექნიკის მეშვეობით რეგულარულად ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს დაწესებული აქვთ დასუფთავების აქციები, რომლის დროსაც ახდენენ ნარჩენებისაგან დაბინძურებული ტერიტორიების გასუფთავებას და სხვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ერთად. ამ კუთხით ცოდნისა და ცნობიერების ასამაღლებლად. ამის შესახებ მოგვიწოდებს მედიასაშუალებები, თუმცა ზემოხსენებულის ფონზე, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, ვისაც ბოლომდე ვერ გაუცნობიერებიათ ამ პრობლემის მნიშვნელობა და ცხადად თუ ფარულად აგრძელებენ გარემოზე მავნე ზემოქმედებას, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ნარჩენებს ყრიან ყველგან, სადაც კი მოესურვებათ, აბინძურებენ გარემოს, რითაც აშკარა საფრთხეს უქმნიან არა მარტო გარშემომყოფ ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, არამედ საკუთარ თავსაც.

თუ რას ფიქრობენ ამის შესახებ და რა სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მიაჩნიათ მიზანშეწონილად ასეთი ადამიანების მიმართ, გავესაუბრეთ რამდენიმე ადამიანს ქ. საგარეჯოსა და სოფლებიდან.

მურმან ებრალიძე – *მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსი:* – როგორც ცნობილია, გარემოს დამაბინძურებლების მიმართ მოქმედებს ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელშიც განსაზღვრული ჯარიმებია დაწესებული გარემოზე მიყენებული სხვადასხვა სახის მავნე ზემოქმედებისათვის. სოლიდურ ფულად ჯარიმებთან ერთად კოდექსი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე ითვალისწინებს დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასაც კი. ამიტომ მიმაჩნია, რომ დამნაშავემ, რომელმაც ერთხელ ჩაიდინა არაერთი დანაშაული და მეორედაც გაიმეორა მსგავსი საქციელი, მის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები უნდა გამკაცრდეს, რომ ეს სხვებისათვის სამაგალითო იყოს.

ასეთი პირების გამოვლენა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის ვალია. მათთან ერთად ჩვენი სამსახურის მუშაკები ფხიზლად ვადევნებთ თვალს, და ვიცავთ ჩვენს სამოქმედო ტერიტორიას ამგვარი ხელყოფისაგან. ნაკრძალის ადმინისტრაციას გამოვლენილი გვყავს და ფულადი ჯარიმით – 150 ლარით დავაჯარიმეთ ერთი პიროვნება, – კონკრეტულად, ცხოველის სხეულის ნარჩენებით ბუნების დაბინძურებისათვის.

რაც შეეხება ამ საქმის პრევენციის საკითხებს, საჭიროდ მიმაჩნია ამ კუთხით მოსახლეობის ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლება, საჭირო ადგილებში დამატებით დაიდგას ნაგვის ყუთები, დაიდგას გამაფრთხილებელი აბრები. გზების გასწვრივ, სადაც ნაგვის გადაყრის დიდი რისკია, მოეწყოს ვიდეოკონტროლი, რითაც მოხდება დამნაშავე პირებისა და ტრანსპორტის იდენტიფიცირება.

ემერ პატარკაციშვილი – *სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ლამბალოს სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი:* – მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ ამ ბოლო ხანებში გატარებული ბუნებისდაცვითი ღონისძიებების მიუხედავად, მხედველობაში გვაქვს ნაგავსაყრელი ყუთების დადგმა და ნარჩენების გატანის გრაფიკი, ადამიანების გარკვეული კატეგორია საკუთარი გულგრილობისა თუ დაუდევრობის გამო მაინც აგრძელებს ნაგვის გზისპირებსა და ტროტუარების გასწვრივ დაყრას და დანაგვიანებას. პირადად მინახავს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები როგორ ასუფთავებდნენ ბადიაურიდან აზერბაიჯანულენოვან სოფლებში მიმავალი გზის პირებს, მაგრამ რა?! არც მათ შრომას აფასებენ და არც გზისპირას საგანგებო აბრაზე მოთავსებულ პატრიოტული შინაარსის განცხადებებს „ნუ დააბინძურებ შენს სამშობლოს“. გაივლი მეორე დღეს და გზისპირებზე ისევ გხვდებათ ტომრებითა და ცელოფანის პარკებით გადაყრილი ნაგვის გროვები. ვფიქრობ, სათანადო სამსახურებმა კიდევ უფრო უნდა გააქტიურონ მუშაობა ასეთი პირების გამოვლენისა და სათანადოდ დასჯისათვის, რომ მომავალში მსგავსი რამ სხვებმაც აღარ ჩაიდინონ.

გ. დ. – საგარეჯოელი ვარ და მიხარია, როცა დილით ქალაქში გამოვალ და დაგვილ-დასუფთავებულ ქუჩებს ჩავუვლი. შუადღისით კი ეს სურათი იცვლება. დაუდევარ მოსიარულეებს რომ თავი დავანებოთ, გამოვლენ „ელიტ-ელექტრონიკსის“ თუ „ბეკოს“ მაღაზიების ემბლემიან მაისურებში ჩაცმული გოგონები და ვითომდა ფასდაკლების ბარათებს ხელში აჩეჩებენ გამვლელ-გამომვლელს. ვისაც არ ეზარება წაიკითხავს და ნაგვის ყუთებამდე მიიტანს ჩასაყრელად, ზოგი კი, არც დახედავს და პირდაპირ ქუჩაში ან ტროტუარზე ყრის. ეს რა, ქალაქის დანაგვიანება არ არის? რატომ ამაზე პასუხს არავინ სთხოვს ამათ?! ასევე, თვალთხევის მარჯვენა სანაპიროზე დადგმულია ნაგვის ყუთები, მაგრამ მოსახლეობა საქონლის ნაკელს ხევში გამავალ ბილიკზე ყრის. ამ მოკლე გზით ისევ ისინი არ სარგებლობენ?

მ.ძ. მძღოლი: – მანქანა ქალაქში (საგარეჯო) ისე ვერ გაგიჩერებია კაცს, რომ მაგ გოგოებმა საქარე მინაზე მსგავსი ბარათები არ გაგიკრან. ხან ერთად სამი და ოთხიც დამხვედრია. კანონით სიგარეტის ნამწვავის გადაგდებაც კი ფულადი ჯარიმით ისჯება, ესენი კი ამდენ ნაგავს არხეინად ყრიან და ვითომდაც და არაფერი. ზოგს პურის ფულიც კი ძნელად საშოვნელი აქვს და ვის რად უნდა მაგათი ცარიელი ქაღალდები?! ფულიანები კი უამისოდაც ყიდულობენ საჭირო ნივთებს. მაგრამ მე ამაზე კი არ მაქვს პრობლემა, არამედ მე რატომ უნდა გადავყარო მათგან „მოჩეჩებული“ ქაღალდი?! ვთქვათ, ურნამდე ვერ მივიტანე და ისე გადავაგდე. დამინახა შესაბამისი სამსახურის მუშაკმა და რა გგონიათ დამინდობს, ვითომ ჯარიმას არ დამიწერს?!

ზ.ბ.: – მანავში ამ ბოლო დროს ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, დაიდგა ნაგვის ყუთები და მოსახლეობა იმდენად აღარ ანაგვიანებს გზისპირებს და მიმდებარე ტერიტორიებს. თუმცა, ეს ყუთები გათვალისწინებულია მარტო „საოჯახო“ ნაგვისათვის და კანონით იქ სამშენებლო ნარჩენების ჩაყრა იკრძალება. ჩასცდებით თუ არა სოფლის ცენტრს, კახეთის რკინიგზის გადასასვლელის ე.წ. „პერეეზდის“ გასწვრივ ადვილად დაინახავთ მანქანით გამოტანილ სამშენებლო მასალების ნარჩენებს, ნაკელის გროვებს, ცოტა ქვემოთ კი მინდორზე გაშლილ პლასტმასის ბოთლებს. ეს ბოთლები აქ წვიმის დროს ადიდებულ ხევს გამოაქვს ხოლმე, რომელსაც ვეღარ ატარებს ბოგირად დადებული ბეტონის მილები და ზემოთ გზაზე ამოაქვს. ამ ბოთლებს ხევში მის პირას მცხორებნი ყრიან. და ზოგი ისეა დაჩვეული ამას, სახლებში რომ დაუდგან ნაგვის ყუთები, ამას ვერ მოიშლიან, ამიტომ საჭიროა, რომ ასეთ შემთხვევებში კანონმა იმოქმედოს. რაკი ერთი დაისჯება, მერე ეს სხვებისთვის სამაგალითო გახდება.

ასევე საჭიროდ მიმაჩნია, რომ სოფლის ყველა უბანში დაიდგას ნაგვის ყუთები, რადგან არსებული ყუთები საკმარისი არაა.

– ამბობენ, რომ მოსახლეობას გაცნობიერებული არა აქვს თავისი ამ მოქმედების შედეგები და ამას ამიტომ აკეთებენო, თქვენ რა აზრის ხართ?

– რას ბრძანებთ! 21-ე საუკუნეში ადამიანმა რომ არ იცოდეს და არ ესმოდეს ამ საკითხის მნიშვნელობა, ძნელი წარმოსადგენია და ჭკუათმყოფელი კაცი ამას ვერ დაიჯერებს. თუ მართლა ასეა და არ ესმით ეს, მაშინ ნაგავს რატომ საკუთარ ეზოსა და სახლებში არ ყრიან და ხევებსა და ქუჩებში გამოაქვთ?!

ხო, კიდევ ერთი. წედან სამშენებლო და სხვა ნარჩენები ვახსენე. საჭიროდ მიმაჩნია – სოფელში გამოიყოს ადგილი და მოეწყოს ნაგავსაყრელი, ამით ჯერ ერთი, რომ თავიდან ავიცილებთ ტერიტორიების დაბინძურებას და მეორეც – მოსახლეობასაც აღარ ექნება იმის შიში, რომ უადგილო ადგილას ნაგვის დაყრისთვის ვინმე დააჯარიმებს. ისე, რა თქმა უნდა, ვინც შეგნებულად ანაგვიანებს გარემოს, მართლაც მკაცრად უნდა დაისაჯოს, რომ ამ სახით მაინც მოხდეს მისი შეგნების გამოსწორება და მიხვდნენ, რა ზიანს აყენებენ თავიანთი ამ დაუდევრობით გარშემომყოფ ადამიანებს და გარემომცველ ბუნებას, რომელშიც ხვალ-ზეგ ჩვენმა მომავალმა თაობებმა და მათმა შთამომავლობამაც უნდა იცხოვრონ.

თქვენ რას ფიქრობთ აღნიშნული პრობლემის შესახებ, ჩვენო მკითხველო?! კარგი იქნება, თუ ამ აზრს წერილობითი სახით გაუზიარებდით ჩვენს თანამოქალაქეებს და შეექმნიდით ერთიან აზრს მისი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მოსაგვარებლად მაინც.

გივი დაბახიშვილი

ახალგაზრდები – ბუნების დამცველები

„დავასუფთაოთ საქართველო“

... **„ეს** ქვეყანა ანოსია, ეს ქვეყანა ვანოსია!“ ეს ქვეყანა ჩემია, ეს ქვეყანა შენია, ეს პლანეტა ჩვენია! ყველასია!!! თითოეულმა ჩვენგანმა წვლილი უნდა შეიტანოს გარემოს დაცვის საქმეში. ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის მონაწილეობით ხორციელდება პროგრამები, რომელთა მიზანია ნაგვის შეგროვება, გადამუშავება და მიღებული პროდუქციის ხელმეორედ გამოყენება.

ერთ-ერთი კამპანია “დავასუფთაოთ მსოფლიო” დაფუძნდა გარემოსდაცვით პროგრამის ფარგლებში და ტარდება ყოველი წლის 15 სექტემბერს და გრძელდება სამი დღის განმავლობაში. საქართველო ამ კამპანიას შეუერთდა 2010 წელს.

კამპანიის მთავარი მოწოდებაა : “ ჩვენი ქვეყანა... პლანეტა ჩვენი პასუხისმგებლობაა!

ამ ხმას საქრთველო ასე შეუერთდა :დავასუფთაოთ მსოფლიო-დავასუფთაოთ საქართველო!

დასუფთავებაში ჩართულნი არიან ორგანიზაციები, სტუდენტები, მოსწავლეები.

ჩვენი სკოლა უკვე რამდენიმე წელია ჩართულია დასუფთავების აქციაში. ჩვენ ვასუფთავებთ არა მარტო სკოლის ტერიტორიებს, არამედ სოფელში ნაგავსაყრელად ქცეულ ტერიტორიებს, სადაც მრავალი სახის ნარჩენია და მოსახლეობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შევქმენით ვიდეორგოლები, რომელიც ასახავდა ჩვენი სოფლის ამ რეალურ პრობლემას და მოვიპოვეთ ნაგვის ყუთები ნარჩენების დასახარისხებლად. მოსახლეობამ უნდა იცოდეს რა შეიძლება გადამუშავდეს და რა-არა. ჩვენი სკოლის ეკოკლუბელების მიერ განხორციელებულ ყველა აქტივობაში, რომელიც მიზნად ისახავს მომავალი თაობის მოტივაციის გაზრდას , დიდი წვლილი მიუძღვის მერის წარმომადგენელს ბატონ კახაბერ ჩალათაშვილს.

...ივრის პირს რომ ჩაუყვები, გეცოდება ხეები პოლიეთილენის პარკებით დახუნძლული, ბალახები პამპერს წაფარებული, სუნთქვაშეკრული! გასულ წელს დავასუფთავეთ, წელსაც დავასუფთავებთ, მაგრამ “დასუფთავების სამი დღე” თუნდაც ერთი კვირა ან თვე ფუჭად ჩავლილი შრომაა: დავასუფთვებთ-დაყრიან! დავასუფთავებთ კიდევ დაყრიან!.. ასე, რომ პრობლემა არ გვარდება!

საჭიროა, ადამიანების ცნობიერების ამაღლება, იმის გათავისება, რომ ჩვენ ვკლავთ დედაბუნებას-ჩვენ ვკლავთ ჩვენს მომავალს! ...და როცა მშობლები სახლიდან ნაგავს გაიტანენ, ან ჩვენ გვთხოვენ მის გატანას, დავფიქრდეთ, სად მიაქვთ ის?! რას უშვრებიან მას?!.. და თუ ვიცით, რომ ეს ნაგავი აღმოჩნდება ტყის პირას გათხრილ ღრმა ორმოში , რომელიც მიწისქვეშა წყლების დონეზეა , ან გადაყრიან მინდორში, სადაც საქონელი ბალახს ძოვს, ან დაწვავენ და არ დაიცავენ შესაბამის სტანდარტებს, ამოვიღოთ ხმა! ჩვენც შეგვიძლია დავიცვათ, ჩვენც შეგვიძლია რაღაც შევცვალოთ!

ყველამ დავიწყოთ საკუთარი თავიდან, საკუთარი ოჯახებიდან... ერთი, ორი, სამი... მრავალი მილიარდი..ეს მრავალი ადამიანის პლანეტაა-დედამიწა!

„პროექტ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2018“-ის გადიაურის საჯარო სკოლის ეკოკლუბელები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირი – თამარ ურდულაშვილი:

„მინდა დავამარცხო დრო“...

თვენახევრის წინ საგარეჯოსა და სოფელ იორმუღანლოში გაიხსნა „ქალთა ოთახი“ – ახალი სერვისი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შექმნილი ღია სივრცეა და მისი მთავარი მიზანია დაეხმაროს ქალებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში, მოსახლეობას სთავაზობს თავისუფალ სივრცეს დასვენებისა და სოციალური აქტივობისათვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელ პირად და საგარეჯოს „ქალთა ოთახის“ მენეჯერად თამარ ურდულაშვილი დაინიშნა, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

დაბადება

დავიბადე ყვითელგულა შემოდგომისას, ირმის მყვირალობისას, 1968 წლის 29 სექტემბერს შუადამისას...

თურმე მაშინ ჭრიჭინებდნენ, ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები..

მათი ხმა ჩემმა ტირილმა გადაფარა, ტირილმა დედის სხეულთან დაშორების,ტირილმა შიშის ვეებერთელა სამყაროსი. ვგრძნობდი უსაზღვრო და უკიდეგანო სამყაროს და ვეძებდი საყრდენს გასაჩერებლად...და ამ საყრდენიანად დედამიწასთან ერთად დავიწყე ბრუნვა...

დაიწყო ათვლა ჩემი წლების საზომმაც.

1985 წელს წარჩინებით დავამთავრე საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა.

1992 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის სულხან–საბა ორბელიანის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტი,ფიზიკის სპეციალობით.

რატომ ფიზიკის?

„უმეცარნი ფიზიკისა მსგავს არიან მკვდართა“/ანტონ დიდი/

აინშტაინის არ იყოს ბუნებისმეცნიერული ინტერესები სჭარბობდა ყველა დანარჩენს...

1992 წელს მუშაობა დავიწყე საგარეჯოს რკინიგზის №19 არასრულ საშუალო სკოლაში ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებლად,1995 წელს–ნინოწმინდის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში და ფიზიკის მასწავლებლად.

2005 წელს დავინიშნე საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის დირექტორად და ფიზიკის მასწავლებლად.

2007 წელს ამირჩიეს საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის დირექტორად და ფიზიკის მასწავლებლად.

2012 წლის 1 მაისს დავინიშნე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლად გენდერულ საკითხებში.

2018 წლის 14 მაისს დავინიშნე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელ პირად–მრჩევლად გენდერულ საკითხებში და „ქალთა ოთახის“ მენეჯერად .

ვრედაქტორობდი დამოუკიდებელ გაზეთ“ხვალინდელ დღეს“.

ვარ ლექსების კრებულის „შენს სიყვარულად ვიყავ მოსული“ავტორი.

ვარ მრავალი კონფერენციის, კონკურსის, პროექტის გამარჯვებული და განათლების მინისტრების პერსონალური პრემიის მფლობელი.

2005 წელს ი.გოგებაშვილის პედაგოგთა საზოგადოებამ მომანიჭა რესპუბლიკის წლის საუკეთესო ფიზიკოსის წოდება თემებისთვის:“ჭიანჭველების მუშაობა და მექანიკური მუშაობა“,“ი.გოგებაშვილის ცისარტყელას ფერები და ნიუტონის სპექტრი“.

2008 წელს გავიმარჯვე რეგიონულ კონფერენციაში,თემა:“ფერისა და ბგერის როლი ადამიანის ცხოვრებაში“

2018წელს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გავიარე Key Consulting-ის და შავი ზღვის უნივერსიტეტის სრული კურსი“გახდი ტრენერი“ და გავხდი ტრენერი.

ადამიანები,რომლებიც თანამონაწილენი არიან ჩემი წარმატებების..

დედა–მერი გრატიაშვილი

დიდი ტკივილი...

ჩემი ცხოვრების იდეალი...

ხელოვნებაზე,ქართულ ხალხურ და არა მარტო ხალხურ სიმღერაზე უზომოდ

შეყვარებული და უბადლო შემსრულებელი. 60–იანი წლების ლოტბარ ვანო მჭედიშვილის ჩვენი რაიონის სიმღერის გუნდის სოლისტი.

ახლაც ჩამესმის დედაჩემის ხმებში გაშლილი სიმღერა ჩემთვის და ჩემი დებისთვის...

შემდეგ ერთად შესრულებული „იავნანა“ ,“ურმული“,“მრავალჟამიერი“...

თურმე ცხოვრებაში დგება დრო დედასთან განშორების,შემდეგ უდიდესი მონატრების...დადიხარ და ახლა შენ დაატარებ დედაშენს ლექსით, სიმღერით და საერთოდ შენი მოძრაობით...

მამა–ფირუზ ურდულაშვილი

სიკეთის განსახიერება...

,ქართული ტრადიციების მოყვარული და მიმდევარი

ქარათული სუფრის უბადლო თამადა...

სპექტრის ფერთა დიდოსტატი...

დახვეწილი,გამორჩეული,ფერთა ჰარმონიული მხატვრობა ჰქონდა...

ერთი პატარა ფუნჯით მთელ სამყაროს მოგიხატავდა...

ჰოდა, მოგვიხატა და წავიდა,წავიდა ვალმოხდილი...

დამიტოვა ნაკვალევი, რომელსაც უნდა მოვუფრთხილდე, რათა არ წაიშალოს და მივყვე...

ჩემი დები – მარინა და ლალი

ჩემი სიმდიდრე...

ჩემი სისხლის და გენის მატარებელნი...

ჩემი მშობლების მაგიერნი...

ჩემი ჭირისა და სიხარულის მოწილენი...

სულის მოძღვარნი და მჭედელნი,

მწერალნი ბავშვთა სულის სუფთა დაფაზე

უამრავი თაობის აღმზრდელნი.

მასწავლებლად დაბადებულნი და არა გამხდარნი...

მანძილზე ბავშვთა გულისცემის შემგრძნებნი...

ძლიერნი,ძალიან ძლიერნი.

ჭირშიც მომღერალნი...

მეუღლე–დავით ბუზარიაშვილი

ჩემი ნახევარი...

რაინდი...

დიდი სულისა და თბილი გულის ადამიანი.

უთქმელი...

კაცობის ეტალონი.

ფალავანი თავისი ქვეყნის,ქალაქის,მაშინდელი სსრკ–ის,მსოფლიო შესარჩევი ტურნირების...

ბევრჯერ უსამართლო ცხოვრებისაგან და ადამიანებისგან“დამარცხებული“,მაგრ ამ არა დაცემული...

უფრო ამაყი თავისი წარსულით.

მესაკუთრე უამრავი გამარჯვებებისა...

ჩემი ძილგატეხილი ღამეების დარაჯი...

მეწილე ჩემი გამარჯვებებისა...

შვილი – ნინო ბუზარიაშვილი

ჩემი ერთადერთი,სიკეთის ათინათებით ანთებული ბალახისფერი თვალებით...

პატარა, მაგრამ დიდი შემოქმედებით...ახალგაზრდა, ინოვაციურად მოაზროვნე ახალგაზრდა მწერალი.

მის გულს, როგორც თვითონ ეძახის“სიყვარულის მიმოქცევის ორგანოს“ უზომოდ დიდი სიყვარულის დატევა შეუძლია.

ის ჩემი მეგობარიცაა. ვსაუბრობთ სიყვარულზე,მეგობრობაზე, ლიტერატურა ზე,კინოხელოვნებაზე,სამყაროს კანონებზე და საერთოდ ნებისმიერ თემაზე...

არ ვსაუბრობთ ჩვენს განშორებაზე განზომილებების მიხედვით.

ერთ–ერთ წერილში წერს,რომ რაც იზრდება უჩნდება შიში დედასთან განშორების, მაგრამ... იცის, რომ მარადიული არაფერია... მაგრამ, ისიც იცის, რომ ბუნებაში არც არაფერი იკარგება და არც უკვალოდ ქრება,არამედ ერთი სახიდან მეორეში გადადის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი–გიორგი ერბოფონაშვილი

ცხოვრება იმიტომაა რთული,რომ გადაწყვეტილებების მიღებაა ძნელი.

ცხოვრება გადაწყვეტილებებია... მას თითოეული ჩვენგანი გააზრებულად ან გაუაზრებლად იღებს. და მაინც ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას ვფიქრობთ,ვაანალიზებთ,არჩევანს ვაკეთებთ და გულში ვამბობთ „ასე სჯობია“,შემდეგ კი ხან ამართლებს და ხანაც პირიქით.

მინდა გითხრათ,რომ მე გამიმართლა,ჩემი გადაწყვეტილების (ვყოფილიყავი მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირი და „ქალთა ოთახის“ მენეჯერი) შედეგს წინასწარ ვხედავდი,რადგან მუშაობა მომიხდებოდა ადამიანთან,რომელიც ლიდერის სამი მთავარი პრინციპით ხელმძღვანელობს: ეკითხება,მუხტავს და ეხმარება თავის გარშემო ადანიანებს.

მისი მმართველობა საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას გამორჩეული და გრძელვადიანი შედეგები.მასში შეხამებულია საუკეთესო ადამიანური თვისებები და მტკიცე პროფესიული პასუხისმგებლობა.

ბატონმა გიორგიმ მომცა შანსი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის,ამიტომ ასეთი ადამიანი შენი წარმატების საწინდარი და თანამოზიარეა..

ბატონი გიორგის თანამონაწილეობით ,კახეთის გუბერნიის და არასამთავრობო ორგანიზაციის „Mercy Corps“-ის მხარდაჭერით შეიქმნა ჩვენს მუნიციპალიტეტში ღია სივრცე „ქალთა ოთახი“.

„ქალთა ოთახი“

„ქალთა ოთახი“ ახალი მუნიციპალური სერვისია,ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შექმნილი ღია სივრცე,საინფორმაციო–საკონსულტაციო რესურსცენტრი,რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ქალებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში,გაზარდოს და წაახალისოს ქალთა თანამონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მუნიციპალიტეტი ამ სერვისით სთავაზობს მოსახლეობას (განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს) თავისუფალ სივრცეს დასვენებისა და სოციალური აქტივობისთვის.

„ქალთა ოთახის“,როგორც სერვისის მომხმარებლები არიან:

ადგილობრივი მოსახლეობა(ქალები,კაცები,ახალგაზრდები,ბავშვები...)

მუნიციპალიტეტის თანამშრომლები

არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები

კერძო სექტორი

ვიზიტორებს უფასოდ შეუძლიათ ისარგებლონ კომიუტერითა და ინტერნეტით,სივრცით სხვადასხვა შეხვედრებისთვის, საკონსულტაციო სერვისით,საბავშვო კუთხით.

გენდერული მრჩეველი,“ქალთა ოთახის“ მენეჯერი

ჩემთვის მართვა ხელოვნებაა, მეცნიერებაა... თვითდამკვიდრების საშუალებაა და ცხოვრების სტილია.

მენეჯერად არ ინიშნებიან, მენეჯერად ცხოვრობენ... მენეჯერობა უმეტესად პიროვნების შინაგანი მდგომარეობაა, პასუხისმგებლობაა, მოვალეობაა და არა სოციალური სტატუსი ან თანამდებობა.

ყოველთვის მაწუხებს უძრაობა,მაგრამ მაფიქრებს მოძრაობა...

ვისწრაფი მაქსიმალური თვითრეალიზებისკენ, ვიცი რა მინდა და მაქვს გზა, რომლითაც ვაპირებ მიზნის მიღწევას.

ვიყენებ დროს...

დრო მიდის,ადამიანები კვდებიან...

რჩებიან მხოლოდ ისინი,ვინც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნა შეძლო. მხოლოდ ისინი ახერხებენ აჯობონ ყველაფერზე სწრაფსა და ძლიერს – დროს.

მინდა დავრჩე...

მინდა დავამარცხო დრო...

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მომავალი თაობის დასაინტერესებლად
„მოძრავი წიგნები“

პროექტის ფარგლებში, 16,17, 18 ოქტომბერს განხორციელდა თანამედროვე მწერალთა მობილური ჯგუფის სტუმრობა დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, გურჯაანის, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. კახეთის რეგიონის ჯგუფის ვიზიტების ორგანიზატორი იყო ლელა ცუცქირიძე, რომელიც თანამედროვე მწერლებთან: შაკო ბაკურაძესთან, ნუკრი წერეთელთან, ანი კოპალიანთან, გივი ჩიღვინაძესთან, ვასო გულეურსა და ბექა ახალაიასთან ერთად, 18 ოქტომბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, კერძოდ კი სოფელ პატარძეულს ესტუმრა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, პოეტი-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში მწერლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ***მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი* არჩილ ჯაბადარი**, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში ირმა მინესაშვილი და სამსახურის სხვა თანამშრომლები, ***ა.ა.ი.პ. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების“ ხელმძღვანელი* ბესიკ ღვინაშვილი**, მერიის სხვა თანამშრომლები, ***პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორი* ნინო ბურღიაშვილი,** ამავე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, მასპინძელი მუზეუმის თანამშრომლები და დაინტერესებული მოქალაქეები.

შეხვედრა ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. არჩილ ჯაბადარმა, ლელა ცუცქირიძემ და სხვა გამომსვლელებმა ისაუბრეს იმ მნიშვნელოვან საქმეზე, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს თანამედროვე ქართული კულტურის, მათ შორის - ლიტერატურის განვითარებაში. საუბარი ასევე შეეხო ქართული მწერლობის განვითარების ტენდენციებს, მკითხველთა გემოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებას ახალი ნაწარმოებების შექმნის პროცესში, მწერლობით და ზოგადად, კარგი განათლების მიღებით მომავალი თაობის დაინტერესების აუცილებლობას.

მწერლებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, ამონარიდები პროზაული ნაწარმოებებიდან და უპასუხეს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

განათლება
ახლადრეაბილიტირებული საჯარო სკოლა

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩვენი ქვეყნის სხვა 41 საჯარო სკოლასთან ერთად სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სამ საჯარო – მათ შორის კაკაბეთის სკოლას.

სკოლის დაარსების ისტორია

– სკოლა XIX საუკუნის II ნახევარში მღვდელმა ალექსანდრე მატატაშვილმა დააარსა, რომელსაც პირველად 4 მოსწავლე ჰყავდა. ერთ-ერთი პირველი მოსწავლე გოგოლა კვეზერელი ჰყოლია. მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა და ამიტომ საჭირო გახდა სკოლის ახალი შენობის აგება და გაფართოება.

დღევანდელი სკოლის შენობა

– სკოლის შენობა, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ იქნა რეაბილიტირებული XX საუკუნის 80-იან წლებში აშენდა.

სკოლის დირექტორი

– კაკაბეთის საჯარო სკოლის დირექტორია **პაატა ჩხეიძე**. პაატა პედაგოგის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1992 წლიდან მუშაობს პედაგოგად, 2004 წლიდან დღემდე კი სკოლის დირექტორია.

სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები:

– ლოლა მჭედლიშვილი, ნუნუ რევაზოვა, გოგია ნანუაშვილი, ელზა ფილაური, ჯულიეტა გარსევანიშვილი, ნინა გეთიაშვილი და სხვები.

სკოლის პედაგოგები

– სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-განთლებას 36 პედაგოგი ემსახურება, აქედან 18 სერტიფიცირებულია, რომელთა შორისაცაა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ისტორიის მასწავლებელი თამარ სუხიაშვილი.

სკოლის მოსწავლეები

– სკოლის 14 საფინანსო კლასში 277 მოსწავლე სწავლობს.

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა

სკოლა სრულადაა აღჭურვილი საბუნებისმეტყველო კაბინეტ-ლაბორატორიებით

სააქტო დარბაზი გათვლილია 120 კაცზე.

პროფესიის ერთგულებით
ძველბედობაში ჩავარდნილთა საიმედო დამხმარენი

ეს შემთხვევა** სულ ახლახანს მოხდა. თბილისი-კახეთის გზატკეცილზე, ყოფილი ალინჯის სამხედრო ნაწილის მიმდებარედ, გიორგიწმინდის სავარგულებში რკინიგზის მაგისტრალის ქვეშ გამავალ ხიდთან უზარმაზარი, ასწლოვანი ვერხვი მოიმტვრა და გზატკეცილზე მანქანების მოძრაობა შეაჩერა. ამის გამო გაჩერებული მანქანების რიგი თითქმის სოფელ თოხლიაურამდე გაიწელა. ადგილზე გამოძახებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის მთავარი სამმართველოს საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების მუშაკებს სულ რაღაც 20-25 წუთი დასჭირდათ ვერხვის ტოტებით ჩახერგილი გზატკეცილის გასაწმენდად და მანქანების მოძრაობის აღსადგენად. და საერთოდ, ბევრი ასეთი სიტუაცია განუმუხტავთ და ბევრი განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი უხსნიათ ამ სამსახურის მუშაკებს.

– ჩვენს საქმიანობაში,– ***მეუბნება ამ სამსახურის უფროსი* ზაქარია ოტიაშვილი**, – მთავარი ოპერატიულობა და მაღალი პროფესიონალიზმია, რადგან საქმე ადამიანების ქონებას, ჯანმრთელობასა და არცთუ იშვიათად მათ სიცოცხლესაც ეხება. ამ დროს თითოეულ წუთსა და წამსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დაგვიანებულმა მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს. ამიტომაც ჩვენი მუშაკები მუდამ მზადყოფნის რეჟიმში არიან და სამაშველო ჯგუფი შემთხვევაზე ერთ წუთში, სახანძრო ჯგუფი კი მაქსიმუმ 2 წუთში გადის, რაც გარკვეულწილად ხელს გვიწყობს წარმატებულ სამიანობასა და ძნელბედობაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენაში.

– შემთხვევებზე გასვლა ხშირად გიწევთ?

– მიმდინარე წლის განმავლობაში სულ დაფიქსირდა ხანძრის 80 შემთხვევა, მათ შორის იყო ხანძრები საცხოვრებელ ბინებში, დამხმარე სათავსოებში, ტყის ხანძრები სოფელ გომბორის ტერიტორიაზე, მინდვრად ხმელ ბალახზე იყო რამდენიმე შემთხვევა ვენახებში. 2018 წლის 2 აგვისტოს ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა დავით ნაცვლიშვილის ვენახი.

ხშირად გვიწევს დახმარებაზე წასვლა მეზობელ რაიონებშიც. სულ ბოლოს დახმარებაზე ვიყავით 16 სექტემბერს დედოფლისწყაროში, ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში.

– რაც მე ამ სამსახურის მუშაკებს ვაქებ და ვლოცავ, არ ვიცი, – საუბარში გვერთვება აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების მთავარი ბუღალტერი მაია ჯავახიშვილი. – მაგათ 2008 წელს ერთ ქარიან ღამეს ჩვენს საცხოვრებელ უბანში დაწნეხილ თივაზე გაჩენილი ხანძარი რომ არ ჩაექროთ, ალბათ მთელი იმ უბნის სახლები გადაიწვებოდა.

– სამაშველო კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ რას გვეტყოდით, ალბათ ამ მხრივ უფრო მეტი მუშაობა გიწევთ, არა?

– ამ კუთხით თუ შევხედავთ ჩვენს საქმიანობას, ხანძრებთან შედარებით არანაკლებ საპასუხისმგებლო და რისკების შემცველია. ეს შემთხვევები მრავალნაირია: ავტოსაგზაო შემთხვევები, წყალდიდობები, ხრამებში გადაჩეხილი მანქანების და ადამიანების ამოყვანა, სხვადასხვა მიზეზებით ჩახერგილი გზების გაწმენდა და ა.შ. სულ ამ წელში დაფიქსირებულია ასეთი 100 შემთხვევა. მათ შორის უნდა გამოვყოთ წყალდიდობებით გამოწვეული შემთხვევები იორმუღანლოს ზონაში. რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როცა მოტეხილმა ხეებმა ჩახერგეს ცენტრალური სავალი გზები და ოპერატიულად მოგვიხდა მათი გაწმენდა, რათა არ მომხდარიყო მოძრაობის შეფერხება.

სოფელ ხაშმში გვქონდა გამოძახება, სადაც საცხოვრებელ ბინაში ჩაკეტილი დაგვიხვდა გარდაცვლილი პიროვნება და მოგვიხდა მისი გამოყვანა.

საერთოდ ბევრია შემთხვევები, როცა მოქალაქეებს ეკეტებათ საცხოვრებელი ბინების კარებები და ჩვენ გვიძახებენ დასახმარებლად. ასეთი ბოლო შემთხვევა მოხდა მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე მდებარე მეცხრე საცხოვრებელი კორპუსის პირველი სადარბაზოს მე-2 სართულზე სახლში ჩაკეტილი იყო 3 წლის ბავშვი ნიკოლოზ კვაშილავა, რომელსაც ჩვენმა მუშაკებმა გავუწიეთ დახმარება და დროულად გამოიყვანეს სახლიდან, თორემ ვინ იცის რას მოიმოქმედებდა უმეთვალყუროდ ბინაში დარჩენილი პატარა.

– იმ მდგომარეობასა და პირობებში, რაშიც თქვენ გიწევთ მუშაობა, მართლაც შესაშური და დასაფასებელია თქვენი შრომა. მართლაც გასაკვირია, როგორ ახერხებთ გასული საუკუნის 60-იანი წლების ძველი ტექნიკით ამდენი საქმის გაძღოლას, მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ დახმარებაზე გასვლას?

– სახანძრო მანქანები მართლაც ძველია და ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს. ამიტომ, მთელი პასუხისმგებლობით ვუვლით და როგორც იტყვიან, თავს ვევლებით, რომ ღმერთმა ნუ ქნას, შემთხვევაზე გასულებს „გვიღალატონ“, თორემ ვინ იცის, მათ ასეთ „უარს“ რა გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. რაც შეეხება სამაშველო სამსახურს, აქ გამოყოფილი გვაქვს მაღალი გამავლობის „პიკაპი“ სათანადო აღჭურვილობით და როგორც გვპირდებიან, მომავალში ახალ სახანძრო მანქანებსაც გამოგვიყოფენ.

– მეხანძრე-მაშველების კადრების შესახებ რას გვეტყოდით? თუ არის რაიმე ცვლილება მათ საქმიანობაში?

– რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მათ საქმიანობაში ჯერჯერობით არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გაუქმდა ინსპექტორთა ჯგუფი და ინსპექტორები გადაყვანილი არიან მეხანძრე-მაშველებად.

– როგორც შევიტყვეთ, მომავალში მათი ხელფასების მომატებაც იგეგმება.

– მეხანძრე-მაშველების ყოველთვიური ხელფასი 600 ლარის ოდენობით განისაზღვრება (ხელზე ასაღები) და მომავალში იგეგმება კიდევ მომატება, თუმცა, ჩვენი მუშაკები მანამდეც ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას და მუდამ მზადყოფნაში ვართ სათანადო დახმარება გავუწიოთ ჩვენს ძნელბედობაში ჩავარდნილ მოქალაქეებს.

– მაშ, იმედიანად უნდა იყვნენ ჩვენი ის მოქალაქეები, ვისაც 112-ზე დარეკვა მოუწევთ.

– რა თქმა უნდა და ეს არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, არამედ ყველა იმ მოქალაქეს ეხება, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით, ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე ჩვენი დახმარება დასჭირდებათ.

გივი ღაბახიშვილი

სპორტი

„რაც დავიწყებით არ იბინდება“

გმირთა სახელობის ტურნირი

2018 წლის 20 – 21 ოქტომბერს საგარეჯოს სპორტულ დარბაზში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჩვენი თანამემამულეების **გია კირაკოზაშვილის და რეზო მამისაშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 2005-2007 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის.

გია კირაკოზაშვილი

დაიბადა 1975 წლის 9 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ დიდ ჩაილურში. მან სკოლა დაამთავრა 1990 წელს. 1994 წელს ჩირიცხა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე. 1995 წელს ჩაირიცხა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ აკადემიაში.

1999 წელს დაამთავრა აღნიშნული აკადემიის ფაკულტეტის სრული კურსი და სახმელეთო-საშტაბო სპეციალობის ოფიცრის სასწავლებლის სპეციალობა მიენიჭა.

1997 წელს გაიარა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის დაზვერვის საკვალიფიკაციო კურსი ა.შ.შ-ში, ტეხასის შტატში, საიდანაც ჩამოიტანა მრავალი სიგელი.

1999 წელს მუშაობა დაიწყო ეროვნულ გვარდიაში, გვარდიის სამმართველოს დივიზიონის მართვის ოცეულის მეთაურად.

2002 წელს დანიშნეს ეროვნული გვარდიის ოპერატიული პოლკის საარტილერიო დივიზიონის საარტილერიო მე-2 ბატალიონის მეთაურად.

შემდეგ მუშაობდა შინაგანი ჯარების I ოპერატიული ბრიგადის საბრძოლო უზრუნველყოფის ასეულის მეთაურის თანამდებობაზე.

1996 წელს მიიღო საპატიო სიგელი მკლავჭიდში პირველობისათვის.

1997 წელს დააჯილდოვეს სიგელით აშშ-ში

2004 წლის 25 სექტემბერს მიიღო მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.

2005 წელს დაჯილდოდა თავდაცვის სამინისტროს საპატიო სიგელით, ქვეითი ბრიგადის ჯავშან სატანკო ბატალიონის ბრიგადის მეთაურის დავალების ხარისხიანად შესრულებისათვის.

2008 წელს მედლით დააჯილდოვეს „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

გარდაიცვალა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის მედალი.

რეზო მამისაშვილი

დაიბადა 1983 წლის 3 იანვარს, დაამთავრა თბილისის 165-ე საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა კოლეჯში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის განხრით.

შემდეგ ჩააბარა სამხედრო აკადემიაში, იყო წარმატებული სტუდენტი. აკადემიის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს ვაზიანის მეოთხე ბრიგადის 42-ე ბატალიონში. თავიდან მუშაობდა ოცმეთაურად, ორი წლის შემდეგ თავისი წარმატებიდან გამომდინარე დაინიშნა ასმეთაურად. აღნიშნული ბატალიონი გადიოდა წვრთნას ცხინვალში.

რეზო მამისაშვილი იყო მორწმუნე ადამიანი, ხშირად დადიოდა ეკლესიაში და ჰყავდა თავისი მოძღვარი მღვდელი გიორგი.

2008 წლის აგვისტოში როდესაც ომი დაიწყო რეზო მამისაშვილს ჰქონდა ოპერაცია ახალი გაკეთებული, ის თავისი სურვილით ღია ჭრილობით გამოცხადდა და გამოთქვა სურვილი ომში წასვლაზე. იმ საბედისწერო საღამოს, როგორც მისი თანამებრძოლები იხსენებდნენ, რეზომ აიჩემა, რომ „შავლეგო“ ემღერათ. როდესაც დაიწყო დაბომბვა, რეზო თავის ჯარის მეგობრებთან ერთად ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებოდა. სიტუაცია გახდა უმართავი, სადაც ბევრი ჯარისკაცი დაიჭრა. რეზოსთან ერთად იმ მძიმე საღამოს იმყოფებოდა ექიმი ზურაბ ბეგიაშვილი, რომელიც რეზოსთან ერთად დაიღუპა.

* * *

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონების 180-მდე მონაწილემ, შემდეგმა გუნდებმა: თბილისის „განთიადი“, ჯორჯია, ოლიმპიური ცენტრი, თბილისი „კაიზერი“, თბილისი „სამგორი“, თბილისი „შევარდენი“, თბილისი „ლილო,“ თბილისი „გლდანი“, თბილისი „აკადემია“, თბილისი „ფალავანი“, ბორჯომი, თელავი, რუსთავი, ახმეტა, ქარელი, მარტყოფი, ბოლნისი, ლაგოდეხი, ყვარელი და საგარეჯოს ნაკრები გუნდები.

საგარეჯოს ნაკლრები გუნდის ნაჩვენები ტექნიკური შედეგებია:

24 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა არჩილ მჭედლიშვილმა.

27 კგ წონით კატეგორიაში I საპრიზო ადგილი დაიკავა დავით ჩიტაიამ.

30 კგ წონით კატეგორიაში I საპრიზო ადგილი დაიკავა შოთა ბაჩოშვილმა.



II საპრიზო ადგილი – ვახო ჭიაბერაშვილმა.

34 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა ონისე ბორაშვილმა.

38 კგ წონით კატეგორიაში I საპრიზო ადგილი დაიკავა დავით კევლიშვილმა,

III საპრიზო ადგილი დაიკავა ვახო ჭიაბერაშვილმა.

III საპრიზო ადგილი დაიკავა ლაშა ტიგინაშვილმა.

42 კგ წონით კატეგორიაში I საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი ზუკაიშვილმა.

46 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი სულიკაშვილმა.

66 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი ხოსიტაშვილმა.

73 კგ წონით კატეგორიაში I საპრიზო ადგილი დაიკავა გიგი ესაიაშვილმა.

შეჯიბრებაზე დაწესებული იყო გია კირაკოზაშვილის და რეზო მამისაშვილის სახელობის პრიზები, რომელიც დააწესა შპს „პატარძეულის“ დირექტორმა, ბატონმა ოთარ მუჩიაშვილმა, რომელსაც მადლობას უხდის საგარეჯოს სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობა. ასევე სპორტგაერთიანების კოლექტივი დიდ მადლობას უხდის სოფ. პატარა ჩაილურის სკოლის დირექტორს ბატონ თემური ყავრიშვილს და სოფ. დიდი ჩაილრის სკოლის დირექტორს ქალბატონ ლია როსტიაშვილს თავის პედკოლექტივთან ერთად, რომლებიც დიდად დაგვეხმარნენ შეჯიბრების ნორმალურად ჩატარებაში. მათ გია კირაკოზაშვილის მემორიალთან შეკრიბეს პედაგოგები, ბავშვები და თავისი შემოქმედებით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

გიჭიკო მარიდაშვილი,
ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ მთავარი სპეციალისტი,სპორტის დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის ტურნირი საგარეჯოში

12-14 ოქტომბერს საგარეჯოში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონის, სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობების გამარჯვებულის, სპორტის ოსტატ ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2003-2004-2005 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად საგარეჯოს ესტუმრნენ რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ამ სტილის მოჭიდავეები. ასევე უძლიერესი მოჭიდავეები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან: ბათუმის, ხობის, ჭიათურის, ოზურგეთის, ხაშურის, ბორჯომის, თბილისის, სართიჭალის, ნორიოს, მარტყოფის, რუსთავის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წრეების აღსაზრდელები.

ტურნირი ორგანიზებული იყო აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელის, და ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონის, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებისა და ბუნდესლიგის გამარჯვებულის თამაზ ყიფიანის მიერ. სულ ტურნირში მონაწილეობდა 200 მოჭიდავე, 20 კგ წონითი კატეგორიიდან დაწყებული 85 კგ წონითი კატეგორიის ჩათვლით, სულ 16 წონაში. საგარეჯოელი „კლასიკოსებიდან“ ასპარეზობაში მონაწილეობდა მანავისა და საგარეჯოს (მწვრთნელები თამაზ ყიფიანი, ვასილ მარტიაშვილი) წრეების 15 აღსაზრდელი. მათგან ტურნირის ვერცხლის პრიზიორი 75 კგ წონით კატეგორიაში გახდა ტარიელ პაატაშვილი (საგარეჯო), მანაველი გუგა მუნჯიშვილი მესამე პრიზიორი გახდა 20 კგ წონით კატეგორიაში.

ტურნირზე დაწესებული ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის თასი მოიპოვა ხობელმა გოგა გაბისონიამ, რომელიც მას პირადად ვასილ ლაფაჩიშვილმა გადასცა.დგილებზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ შესაბამისი მედლებითა და თასებით.

ასპარეზობენ ჭაბუკი ძიუდოისტები

30 სექტემბერს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის საჭიდაო არენაზე ჩატარდა რაიონის პირველობა 2005-2006-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ამ სტილის ჭიდაობის სექციების წევრები იღებდნენ მონაწილეობას.

ასპარეზობა 24 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი საბა ოდიკაძე. მომდევნო ადგილზე გავიდა მზისგულელი ერეკლე ჭიკაძე, მესამე ადგილები გაიყვეს გიორგიწმინდელებმა – გიგა კევლიშვილმა და თამაზ მეკოკიშვილმა.

მომდევნო 27 კგ წონით კატეგორიაშიც გამარჯვებული კვლავ საგარეჯოს წარმომადგენელი დავით ჩიტაია აღმოჩნდა, რომელმაც ფინალში დაამარცხა უდაბნოელი დავით არღვლიანი – მესამე ადგილზე გავიდნენ ოთარ ოდიკაძე (საგარეჯო) და არჩილ მჭედლიშვილი (კაკაბეთი).

30 კგ წონით კატეგორიაში, წინა ორის მსგავსად, გამარჯვებულთა სამეულს სათავეში საგარეჯოელი შოთა ბაჩოშვილი ჩაუდგა. მეორე ადგილზე გავიდა ვახტანგ ჭიაბერაშვილი (საგარეჯო), მესამეზე – ლუკა დარისპანაშვილი და ილია ჯაფოშვილი (ორივე გიორგიწმინდა).

34 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა საგარეჯოს წარმომადგენელი ონისე ბორაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა ნიკა ბაქარაშვილი, მესამეზე – ნიკოლოზ კურდღელაშვილი და თამაზ მღვდელაძე (ყველა საგარეჯოდან).

38 კგ წონით კატეგორიაში საგარეჯოელი ჩემპიონები გიორგიწმინდელმა ლევან ღრეულმა ჩაანაცვლა, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დაამარცხა საგარეჯოელი ლაშა ტიგინაშვილი. მესამე ადგილები დაიკავეს გიორგი კურდღელაშვილმა და ონისე გიგაურმა (ორივე საგარეჯო).

42 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვება კვლავ საგარეჯოს წარმომადგენელმა გიორგი ზუკაიშვილმა მოიპოვა, რომელიც ბოლოს გიორგიწმინდელ გიორგი ნაცვლიშვილს შეხვდა. მესამე ადგილებზე ამ წონაში გავიდნენ ლერი ილურიძე (გიორგიწმინდა) და ბორის ჯაფოშვილი (მზისგული).

46 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგი სულიკაშვილი (საგარეჯო), მეორე პრიზიორი – უდაბნოელი ამირან ცინდელიანი, მესამე ადგილზე გავიდა დავით ღვთისავრიშვილი (საგარეჯო).

55 კგ წონიოთ კატეგორიაში მზისგულელ ცოტნე ჭიკაძეს არ ჰყოლია მეტოქეები.

დამამთავრებელ მძიმე წონით კატეგორიაში კი სამი ძიუდოისტი გამოცხადდა, რომელთაგან ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი გიგი ესაიაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა დაჩი ფოჩიანი (უდაბნო), მესამეზეც – უდაბნოელი ბესიკ ქალდანი.

გივი დაბახიშვილი

სამბო

ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის ტურნირზე

სექტემბრის დასაწყისში კასპში ჩატარდა აქაური ფალავნის, ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა სამბოში, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ამ სტილის მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. მათგან ვიცე-ჩემპიონები გახდნენ და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ იოსებ დურიშვილი (57კგ), დავით კურდღელაშვილი (68კგ) და ლაშა მათიაშვილი (82კგ).

ვასილ ბუჩაშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 48 კგ წონით კატეგორიაში.

მედლები გელა ბარათაშვილის სახელობის ტურნირიდან

ქ. ხაშურში ჩატარდა გელა ბარათაშვილის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, სადაც აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ფალავნებმა ორი პირველი, ერთი მეორე და ექვსი მესამე ადგილის დაკავება შეძლეს. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონი გახდა ნიკა ბასილაშვილი, რომელიც უძლიერესი აღმოჩნდა 60 კგ წონითიო კატეგორიის მოჭიდავეთა შორის. ამავე წონაში გოგონებში ჩემპიონი გახდა თინანო რევაზიშვილი, ხოლო მარიამ კოხტაშვილი – მეორე პრიზიორი.

ტურნირზე მესამე პრიზიორები გახდნენ: სანდრო ათუაშვილი (48 კგ), თამაზ გოგიაშვილი (81კგ), როინ ყორღანაშვილი (65 კგ), ნიკა ბასილაშვილი (60 კგ), ხატია მინდიაშვილი (52კგ), ხათუნა თვაური (56კგ).

არჩილ ჩოხელის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე

თბილისში ჩატარებულ არჩილ ჩოხელის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე ბრინჯაოს მედალი 57 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა ირაკლი კუპატაძემ.

გივი დაბახიშვილი

თბილისში ვახტანგ ჯაფარიძის სახელობის ტურნირზე

გუნდური I ადგილი და თასი

13-14 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა ვახტანგ ჯაფარიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი 2003-2004 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეებიც იღებდნენ მონაწილეობას. სამი პირველი, ორი მეორე და ორი მესამე ადგილი – ასეთია ჩვენებური ფალავნების შედეგი ამ ტურნირზე, რითაც გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და თასი მოიპოვეს.

ტურნირის ჩემპიონები თავიანთ წონით კატეგორიაში გახდნენ შოთა ბაჩოშვილი (30კგ), ონისე ბორაშვილი (34კგ), გიორგი სონიძე (50კგ). მურაზ ხუდოიანი ვერცხლის პრიზიორი გახდა 50 კგ წონით კატეგორიაში, ლაშა მამულაშვილი კი მძიმე წონაში. მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ დავით შათირიშვილი (66კგ) და თენგო ხებრელაშვილი (73კგ).

ქარელში მალხაზ ბერუაშვილის სახელობის ტურნირზე

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ 2004-2005 წლებში დაბადებულმა ძიუდოისტებმა იასპარეზეს ქარელში გამართულ მალხაზ ბერუაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონი 60 კგ წონით კატეგორიაში გახდა გიგი ხოსიტაშვილი. მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ გიორგი დურიშვილი (66კგ) და სანდრო სონიშვილი (მძიმე წონა).

მესამე პრიზიორები გახდნენ დავით კევლიშვილი (38კგ), თამაზ მღვდელაძე (34კგ) და გიორგი ზუკაიშვილი (42კგ).

გივი დაბახიშვილი

მადლობა

ულრმეს მადლობას ვუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისა და დაფასებისათვის.

პატივისცემით პენსიონერი მასწავლებელი

ნელი ნავასარდოვა

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის არსენ მეკოკიშვილის ვაჟს **გოგი მეკოკიშვილს,** ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანება“

„წუთია წუთისოფელი“...

„სგუმრები“

შემოგვეჩვია, რადაცნაირად გაგვიშინაურდა სიკვდილი. „წუთისოფლის სტუმრები ვართო“,– ვამბობთ. ვიცით, რომ „როცა სიკვდილი აგვყრის ბორკილებს“ და ჩვენს სამუდამო საცხოვრებელში წაგვიყვანს“, თუ მრავალრიცხოვანი ჭირისუფალი არა, ერთი-ორი ადამიანი მაინც დაინანებს ჩვენს გარდასახვას, სხვა სამყაროში გადასვლას. მომრავლდნენ შვილმკვდარი, შაოსანი დედები, ახალგაზრდა ქვრივები, უმამოდ, ობლად დარჩენილი ძუძუმწოვარა, მუხლგაუმართავი პატარები... საყვარელი ადამიანის გარდაცვალებას ადამიანი ერთობ მძიმედ განიცდის... არიან ისეთებიც, რომლებიც სოფელს, ქალაქს, ქვეყანას დააკლდნენ...რით ვანუგეშოთ თვალზე ცრემლშეუმშრალი დედა, შვილი, ახლობელი?! ტაძარი, ლოცვები, შეკვეთილი წირვები, ობლად დანთებული სანთლები უმნიშვნელო შვებას აგრძნობინებს ჭირისუფალს. თუმცა ვთქვათ, რომ მოძღვრის მიერ დამოძღვრილი, წმინდა მამის გამონათქვამიც უმსუბუქებს ადამიანს იმდღევანდელ ჭირს...

ნათელში ამყოფოს ყველა, ვინც საგარეჯოს, მშობლიურ სოფელს, ოჯახს, ახლობლებს საგარეჯოელებს დაგვაკლდა...

აქ დარჩენილთა ნუგეშად და გასამხნევებლად კი წმინდა მამის მიხედვით დარიგებას გთავაზობთ.

ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარდარ

(წმინდა ავგუსტინეს მიხედვით)

სიკვდილი არა არის რა.
მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი.
მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენა ხარ.
რაც ვიყავით ერთმანეთისათვის,
ისევ ვართ საუკუნოდ.
ისევ ისე მომმართე, როგორც
ყოველთვის მოგიმართავს.
ისევ ისე მესაუბრე,
როგორც ყოველთვის გვისაუბრია.
ნუ დამელაპარაკები სხვა კილოთი.
ნუ მიიღებ სამგლოვიარო და
მწუხარე იერს.
გაიცინე, რაზეც გვეცინებოდა.
ილოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე,
ჩემთან ერთად ილოცე.
ჩემი სახელი ისევ ისე წარმოითქვას,
როგორც ყოველთვის წარმოითქმოდა,
ყოველგვარი ზეაწეულობის,
ყოველგვარი ნაღველის გარეშე.
სიცოცხლე იმასვე ნიშნავს,
რასაც მუდამ ნიშნავდა.
იგი ისევ ის არის, რაც მუდამ იყო.
ძაფი არ გამწყდარა.
რად გგონივარ შენს ფიქრთა გარეთ?
იმიტომ რომ შენს თვალსაწიერს
გარეთა ვარ?
მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის
გადაღმა ვარ...
ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის...
ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ.
თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი
და სასუფეველი.
თუ ძალგიძს, გაიგონო ანგელოზთა გალობა და ანგელოზებს შორის დამინახო!..
თუ ძალგიძს, იხილო გადახსნილი თვალსაწიერი, საუკუნო სამყოფელი,
ახალი ბილიკი, რომელსაც ვადგავარ!..
თუ წამით ძალგიძს, ჩემსავით უჭვრიტო მშვენიერებას,
რომლის წინაშე ყველა სილამაზე ფერმკრთალდება!..
როგორ! თუკი საწუთროში, აჩრდილთა საუფლოში, მხედავდი და გიყვარდი,
წარუვალ სიცხადეთა საუფლოში ვეღარ უნდა მხედავდე და გიყვარდე?
გწამდეს, როცა სიკვდილი შენც აგყრის ბორკილებს, როგორც მე ამყარა,
როცა ერთ დღესაც, მხოლოდ ღვთისათვის ცნობილ და ღვთისაგან დადგენილ დღეს,
შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო,
იმ დღეს შენ კვლავ შეხვდები მას, ვისაც უყვარდი და ისევ ისე უყვარხარ,
კვლავ ჰპოვებ მის გულს და იმ გულში კვლავ იმავე გრძნობას ჰპოვებ,
ოღონდ უფრო განწმენდილს.
შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ.
ნუ ჩაიწერ შენს კეთილ საქმეებს: თუ ჩაიწერ, ჩანაწერი სწრაფად წაიშლება;
თუ დაივიწყებ, ისინი მარადიულობაში ჩაიწერება;
ნუ ჩაიწერ მოყვასის ცოდვებს: თუ ჩაიწერ, მათგან ნახევარი შენ დაგაწვება. დაივიწყე ისინი და უფალი დაივიწყებს შენს შეცოდებებს.
ადამიანი, რომელიც სამკურნალოდ მიდის, სიამაყეს საავადმყოფოს კარებში ტოვებს; ადამიანი, რომელიც აღსარებაზე მიდის, ამპარტავნებას ეკლესიის კარებში ტოვებს. ბედნიერია ის, ვინც უკან დაბრუნებისას მას დაივიწყებს. ღმერთმა ინებოს, რომ იგი ტაძრიდან გამოსვლის დროს სიამაყის ყავარჯნის ნაცვლად თავმდაბლობის ყავარჯენს ეყრდნობოდეს.

ხსოვნა

ნიკა (მალაკანა) ბეჭანიშვილი

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ძვირფასო და საყვარელო ნიკა.

21 გაზაფხულს მოესწარი მხოლოდ, ნიკა. ამჯერად ოცდამესამედ გილოცავთ, ოღონდ შორიდან. იმ ავარიამ, იმ ავარიამ წაგვართვა შენი თავი და ოცდაოთხი წელი აღარ დაგვაცალა ერთად გვეზეიმა შენი დაბადების დღე. იშვიათი გულის ადამიანი იყავი, შენი სიყვარული და შენი მომავალიც ამხანაგებს შესწირე. შენს ამხანაგებს რომ ვხედავ, გიგასთან როცა იყრიან თავს, ასე მგონია შენც იმათთან ხარ, მაგრამ იმ ხუთი ბიჭიდან მხოლოდ შენ ემსხვერპლე იმ ავარიას, შენმა მანქანამ პირველივე შენ მოგკლა, ჩემო უდიდესო დარდო და სევდავ, ჩემო ნიკა.

ახალი ცხოვრებაა... ახლა ყველა ხალისობს, მაგრამ ჩემი გული სევდითაა სავსე. შენს ადგილს სევდა იკავებს და გაუნელებელი დარდი შენი ნახვისა. არც არავის დავიწყებიხარ, შვილო ნიკა. ჭირშიც და ლხინშიც შენი სახელი ისმის, გიგონებენ, შესანდობარს ამბობენ, სანთლებს გინთებენ და საუბრობენ შენზე, შენს ვაჟკაცობაზე.. ყოველთვის მიჭირს შენს საფლავზე მოსვლა, არ მინდა ქვიდან მომზირალი დაგინახო, მაგრამ უძლური ვარ, შენს მაგივრად ცივ ქვას ვეხუტები და მისი მზით გამთბარი სითბოთი ვიტყუებ თავს. რა ვქნათ, ასეთი ბედი გვარგუნა განგებამ. ვიმედოვნებ, იმ ქვეყნად მაინც შევხვდებით ერთმანეთს. იძინე მშვიდად, ჩემო ნატრულო შვილიშვილო.

გეგო ანგელინა ბეჭანიშვილ-ზირაქაშვილი

რობა როსტიაშვილი

შემოდგომა

მოვიდა, შვილო რობა! თავისი ლამაზ-ლამაზი ფერებით, ხვავითა და ბარაქით. ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა წელიწადის ეს დრო – 30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს ყოველთვის სიხარულით ვხვდებოდით, მაგრამ აი, უკვე მეხუთე წელია შენ დედასთან აღარ ხარ. დედაც და შენი ოჯახიც მწარე ტკივილით ვხვდებით ამ დღეს, შვილო.

30 ოქტომბერს 39 წლის ხდები. შენი ოჯახი გილოცავს დაბადების დღეს.

ნათელში იყოს შენი კეთილი სული, ჩვენო საყვარელო!

„შენ დამიძახე დედა, შენ გამიხარე გული,
მერე წახვედი უცბად
და მე დამტოვე მარტო.
გული მატკინე ძლიერ,
ჩემი ხალისიც გაგყვა,
მე დღეს მკვდარი ვარ თითქოს,
მაგრამ, სადა ხარ, შვილო!
ის დღეებიც კი მინდა –
შენ რომ მიშლიდი ნერვებს.
შენი ხმა მინდა კიდევ,
რომ დამიძახო, დედა!
მაგრამ არა ხარ არსად
ცხადში კი არა, შვილო!
სიზმრადაც არსად არ ხარ.
ვეღარ გიპოვე ვერსად,
ეს გული ლამის გასკდეს.
სულ შენზე ვფიქრობ, იცი?!
დავიძინებ და აქ ხარ.
მაგრამ ვერ გხედავ თვალით.
ოცნებაში ხარ მარტო,
ოჰ, როგორ მტკივა გული
და როგორ მინდა შენთან,
რომ ჩაგიხუტო გულში,
შენი თვალებით ვნახო
და დაგიკოცნო ძლიერ,
იქნებ გაგითბო გული
და მოგაბრუნო ჩემთან.
მე ამ ოცნებით ვკვდები,
რომ სადმე ისევ გნახო,
გნახო და უკან გაგყვე,
ბინა დავიდოთ ერთად.
შენ დამიძახო დედა!
მე ჩაგიხუტო, შვილო!
ეს დღეც ხომ ვიცით, მოვა.
მე მიხარია ძლიერ
ჩვენ, რომ შევხვდებით ისევ
და ისევ მინდა, შვილო;
კვლავ დამიძახო, დედა!

* * *

როგორ ძნელია მოგონებებით
იცხოვრო მუდამ.
რადაც გიყვარდეს, მაგრამ ყოველთვის
ეს ყველაფერი იყოს წარსული.
იმ წარსულში კი იკარგებოდე,
გებინდებოდეს მუდამ გონება.
შენ იხსენებდე ყველაფერს კარგად
და თან ამბობდე წარსულში იყო.
ის წარსულიც ხომ არის ნაწილი,
ჩვენი ცხოვრების.
თითქოს გონება გამომაცალა,
გამანადგურა მე ამ წარსულმა.
ვფიქრობ, ყველაფერს ვიხსენებ კარგად,
მაგრამ ვიცი, რომ წარსულში იყო.
გაჩნდი, გაგზარდე, შენ დავაჟკაცდი,
მაგრამ წახვედი როგორ უეცრად.
თან გაიყოლე ჩემი ფიქრები, ჩემი აზრები,
ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.
მე ამ წარსულმა გამაცამტვერა,
დამბლა დამცა და გონი დავკარგე.
მეც ხომ ესა მსურს – გონი დავკარგო
და ყველაფერი გადამავიწყდეს.
მაგრამ წარსული მე არ მასვენებს,
არ მავიწყდება შენი დაკარგვა.
მახსოვს, იყავი დედასთან, შვილო,
მერე წახვედი და გამეყარე,
ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.
მე აღარ მინდა წარსულში ვიყო
და ვიოცნებო კარგო წარსულით.
მაგრამ, რა ვუყოთ დედის ოცნებებს,
დედის გულსა და დედის გონებას,
რომელიც მუდამ წარსულში მირბის,
იმას იხსენებს რაც აღარ არის.
ჩემმა ფიქრებმა, ჩემმა ოცნებამ ლამის
ჭკუაზე შემშალოს, შვილო.
ფეხებმა მიწა გამომაცალა, თან ჩამიტანა,
გამაცამტვერა.
მეც აღარა ვარ წარსულში ჩავრჩი,
თითქოს სიცოცხლე არც კი ყოფილა.
მოგონებები თავზე მაყრია,
წარსული თითქოს თავს არ მანებებს.
მეც ამ წარსულით მინდა ვიცხოვრო,
ვიფიქრებ ასე და ვიოცნებებ,
მერე კი როცა მეც მანდ წამოვალ,
ჩემი წარსულიც ხომ აქ დარჩება.
და მერე ალბათ ჩემი ცხოვრება
სხვას შეაწუხებს და გულს მოუკლავს!

დედა –

მანანა ქოქიაური

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, დეპუტატის ბიურო იუწყება მეორე მსოფლიო ომის მონაწილის

გივი კარანაძის

აფხაზეთის და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეების **ზურაბ დიდმელაშვილის, კობა სანთელაძის, მალხაზ ქმოსტელის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებს.